KA011897762242619

17 / მაისი / 2019 წ.

№ 108507

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,
როგორც მოგეხსენებათ ქ. დუშეთში, დავით აღმაშენებლის ქ. #32-ში (საკ.კ.71.51.01.389) მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა. 2019 წლის 7 მარტს სააგენტომ მიმართა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს, რომელიც არის აღნიშნულ რეგიონში წყლის განაწილების ლიცენზიანტი კომპანია, საზოგადოებრივი ცენტრის შენობის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებზე მიერთების განაცხადით.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილების, 18l მუხლის, 2 პუნქტის შესაბამისად სააგენტომ წინასწარ გადაიხადა მოთხოვნილი სიმძლავრის (წყალშემყვანი მილის დიამეტრი დ=32 მმ; წყალარინების მილის დიამეტრი 100 მმ) შესაბამისი სრული საფასურის (წყალმომარაგების სრული საფასური შეადგენს 650 ლარს, წყალარინების 1000 ლარი) ნახევარი.
შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-მ მიმდინარე წლის 7 მაისს დაასრულა წყალმომარაგების და წყალარინების გარე ქსელების სამონტაჟო სამუშაოები. სამუშაოები შესრულდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით განსაზრვრულ ვადებში.
გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს აღნიშნული მომსახურების საფასურის დარჩენილი 50%-ის, რაც ჯამურად შეადგენს 825.00 (რვაას ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს, გადარიცხვა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო ანგარიშზე.

დანართი: 1. მიღება-ჩაბარების აქტი 1 ფუცელი;
2. ინსპექტირების აქტი 1 ფურცელი;
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო რეკვიზიტები 1 ფურცელი;
4. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შესყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მარინე გვრიტიშვილი